ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01231163748**
თარიღი: **26/04/2023**

ადრესატი: შპს მონტაჟ ჯორჯია
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205258335
მისამართი: ქ. თბილისი, გ. პაპაშვილის ქუჩა #19

თქვენი 12.04.2023წ. N10/01231021325 პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის N31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად შპს. "მონტაჟ ჯორჯია"-ს მიერ მუნიციპალურ ინსპექციაში წარმოდგენილია ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ჩიქვანიას ქუჩა, N1-ში (საკ. კოდი N01.11.04.013.003)) მიმდინარე მშენებლობის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.07.2022წ. N5979015 ბრძანებით განსაზღვრული I, II , IiI და IV ეტაპების დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)



დამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ელექტრონული საგადახდო დავალება No 30378

Transfer Order No 30378

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: 15/01/2024 რეფერენს ნომერი/Reference number: 20193728904 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს "მონტაჟ ჯორჯია"

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE66BG0000000359634300GEL

თანხა/Amount
10,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ათი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს "მონტაჟ ჯორჯია"

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
205258335

საკომისიო/Commission
GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
15/01/2024

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #003899 (ჯარიმა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე)

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ელექტრონული საგადახდო დავალება No 30378

Transfer Order No 30378

საქართველოს ბანკი

თარიღი/Date: 15/01/2024 რეფერენს ნომერი/Reference number: 20193728904 შესრულებულია/Completed

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს "მონტაჟ ჯორჯია"

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE66BG0000000359634300GEL

თანხა/Amount
10,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
ათი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს "მონტაჟ ჯორჯია"

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
205258335

საკომისიო/Commission
GEL

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank
15/01/2024

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #003899 (ჯარიმა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე)

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

№4-1/დ-1760-23
გონთავსდა ოპიულმ ვებგვერდზე 11.01.2024წ.

"06." 10. 2023 წ.

დადგენილება №003899
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

06.10.2023წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, მამუკა ჯაყელმა, განვიხილე, 2023 წლის 30 ივნისის №003899 მითითება და 2023 წლის 8 აგვისტოს №003899 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია'-ს (ს.კ 205258335; მის.: ქ. თბილისი, ყოფილი - დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისი, ჩიქვანაიას ქუჩა №1, №01.11.04.013.003. საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს მიერ, განხორციელდა III კლასის საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №5979015 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის 1-ლი ეტაპით, „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, სახურავისა და არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: "7-9" მონაკვეთში ±0.00 და +4.50 ნიშნულებზე შემცირებულია შიდა ტიხრებში მდებარე კარების სიგანე. შშმ პირებისთვის განკუთვნილ საპირფარეშოში არ არის მოწყობილი ხელმოსაჭიდი ძელები, მონაცვლებულია ხელსაბანის მდებარეობა. კიბის უჯრედში არ არის მოწყობილი მოაჯირები. შემცირებულია ლიფტის შახტის გაბარიტი. "ე" ღერძის გარეთ "7-9" მონაკვეთში დამატებულია ბეტონის ფილა და ტექნიკური დანადგარი. "ა-დ" ფასადზე შეცვლილია კარის ვიზუალი. "ლ-ე" ფასადზე გაზრდილია კარების სიმაღლე, "ი-თ" მონაკვეთში შეცვლილია კარის მასალა. "1-9" ფასადზე "7-9" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებულია სავენტილაციო და საკომუნიკაციო მილები და ღიობები (ნაწილი მოწყობილია ცხაურით).

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევების მიმართ 2023 წლის 30 ივნისს შედგა №003899 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრათ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა, 1-ლი ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების მოსაყვანად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №5979015 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში.

2023 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №003899 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2023 წლის 21 სექტემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი მოქ. თამთა ლომიძე (პ/ნ №01024063033, მინდობილობა გაცემულია 2023 წლის 20 სექტემბერს), რომელმაც დაადასტურა მითითების ჩაბარება, ხოლო შემოწმების აქტის შინაარსს სხდომაზე გაეცნო. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება მითითებით დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვა კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2023 წლის 6 ოქტომბერს ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 8 აგვისტოს №003899 მითითებით განსაზღვრული მოთხოვნები, მხარის მიერ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, კერძოდ: „"7-9" მონაკვეთში ±0.00 და +4.50 ნიშნულებზე შემცირებულია შიდა ტიხრებში მდებარე კარების სიგანე. შშმ პირებისთვის განკუთვნილ საპირფარეშოში არ არის მოწყობილი ხელმოსაჭიდი ძელები" – გამოსწორებულ იქნა ადგილზე პროექტის შესაბამისად. ხოლო სხვა მითითებით გათვალისწინებული მოხოვნები არ არის შესრულებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისი, ჩიქვანაიას ქუჩა №1, №01.11.04.013.003. საკადასტრო კოდზე, განხორციელდა III კლასის საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №5979015 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის 1-ლი ეტაპით, „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, სახურავისა და არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: „შშმ პირებისთვის განკუთვნილ საპირფარეშოში, მონაცვლებულია ხელსაბანის მდებარეობა. კიბის უჯრედში არ არის მოწყობილი მოაჯირები. შემცირებულია ლიფტის შახტის გაბარიტი. "ე" ღერძის გარეთ "7-9" მონაკვეთში დამატებულია ბეტონის ფილა და ტექნიკური დანადგარი. "ა-დ" ფასადზე შეცვლილია კარის ვიზუალი. "ლ-ე" ფასადზე გაზრდილია კარების სიმაღლეები. "ა-თ" მონაკვეთში შეცვლილია კარის მასალა. "1-9" ფასადზე "7-9" მონაკვეთში +0.00 ნიშნულზე დამატებულია სავენტილაციო და საკომუნიკაციო მილები და ჟალუზები (ნაწილი მოწყობილია ცხაურით).

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255

დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"** დაჯარიმდეს 10 000 (ათი ათასი) ლარით ქ. თბილისი, ჩიქვანაიას ქუჩა №1, №01.11.04.013.003. საკადასტრო კოდზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 22022 წლის 6 ივლისის №5979015 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებული მშენებლობისთვის, კერძოდ, დარღვეულია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის 1-ლი ეტაპით, „ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, სახურავისა და არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა" გათვალისიწნებული სამუშაოები.

2. **შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება

თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

განაცხადი თბილისის ვალებ

№ 4-1/ღ-1762-23
"06" 10 2023 წ.

11.01.2024

დადგენილება №003900
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმის შეწყვეტის შესახებ

06.10.2023წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა, განვიხილე 2023 წლის 30 ივნისის №003900 მითითება და 2023 წლის 8 აგვისტოს №003900 შემოწმების აქტი შედგენილი, **შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს** (ს/კ 205258335 მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ყოფილი დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისი, ჩიქვანაიას ქუჩა №1, №01.11.04.013.003. საკადასტრო კოდზე, შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს მიერ, განხორციელდა III კლასის საწყობის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №5979015 ბრძანებით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მე-2 ეტაპით, „შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების და ტექნოლოგიური მოწყობილობების მოწყობა" გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ: ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სახანძრო ჰიდრანტები. შენობა არ არის აღჭურვილი ხელის ცეცხლმაქრებით. სასაწყობე სივრცეში შემცირებულია IR სხივის გადამცემების და სახანძრო კარადების რაოდენობა. +4.50 ნიშნულზე „7" ღერძთან მდებარე ოთახში არ არის მოწყობილიი კვამლის დეტექტორი. დამკვეთმა ვერ უზრუნველყო ლიფტის კაბინის და +4.50 ნიშნულზე „7-9" მონაკვეთში საოფისე ფართის ნაწილის დათვალიერება. საპროექტო ხარვეზი: საპროექტო გეგმებში სასაწყობე სივრცეში მითითებული კვამლის დეტექტორები არ შეესაბამება სახანძრო საინჟინრო ნახაზების გეგმებში წარმოდგენილს. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ცხრილებში სასაწყობე ჯგუფში მითითებულია ხელოვნური განიავება, თუმცა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ტექსტურ ნაწილში, აგრეთვე სახანძრო საინჟინრო ნახაზებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მასალა სასაწყობე სივრცის ხელოვნური განიავების სისტემით აღჭურვის შესახებ.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევების მიმართ 2023 წლის 30 ივნისს შედგა №003900 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრათ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა მე-2 ეტაპით განსაზღვრული სამუშაოების მოსაყვანად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 6 ივლისის №5979015 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტთან შესაბამისობაში.

2023 წლის 8 აგვისტოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, შედგა №003900 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2023 წლის 21 სექტემბერს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი მოქ. თამთა ლომიძე (პ/ნ №01024063033, მინდობილობა გაცემულია 2023 წლის 20 სექტემბერს), რომელმაც დაადასტურა მითითების ჩაბარება, ხოლო შემოწმების აქტის შინაარსს სხდომაზე გაეცნო. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება მითითებით დაფიქსირებულ დარღვევებს და ითხოვა მე-2 ეტაპით გათვალისწიენბული სამუშაოების ხელახალი გადამოწმება.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2023 წლის 6 ოქტომბერს ობიექტის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათით დადგინდა, რომ შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს მიერ შესრულებულ იქნა, მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 8 აგვისტოს №003900 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: „ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სახანძრო ჰიდრანტები. შენობა არ არის აღჭურვილი ხელის ცეცხლმაქრებით. სასაწყობე სივრცეში შემცირებულია IR სხივის გადამცემების და სახანძრო კარადების რაოდენობა. +4.50 ნიშნულზე „7" ღერძთან მდებარე ოთახში არ არის მოწყობილი კვამლის დეტექტორი." – გამოსწორებულ იქნა ადგილზე. სევე დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ლიფტის კაბინის და +4.50 ნიშნულზე „7-9" მონაკვეთში საოფისე ფართის ნაწილის დათვალიერება და დათვალიერების შედეგად დარღვევა არ გამოვლინდა. რაც შეეხება „ საპროექტო გეგმებში სასაწყობე სივრცეში მითითებული კვამლის დეტექტორები არ შეესაბამება სახანძრო საინჟინრო ნახაზების გეგმებში წარმოდგენილს. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ცხრილებში სასაწყობე ჯგუფში მითითებულია ხელოვნური განიავება, თუმცა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ტექსტურ ნაწილში, აგრეთვე სახანძრო საინჟინრო ნახაზებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მასალა სასაწყობე სივრცის ხელოვნური განიავების სისტემით აღჭურვის შესახებ." – შესრულებულია საინჟინრო ნახაზების შესაბამისად. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტო-მასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს მიერ გამოსწორებულ იქნა სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ: „ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი სახანძრო ჰიდრანტები. შენობა არ არის აღჭურვილი ხელის ცეცხლმაქრებით. სასაწყობე სივრცეში შემცირებულია IR სხივის გადამცემების და სახანძრო კარადების რაოდენობა. +4.50 ნიშნულზე „7" ღერძთან მდებარე ოთახში არ არის მოწყობილი კვამლის დეტექტორი." –

გამოსწორებულ იქნა ადგილზე. ასევე დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ლიფტის კაბინის და +4.50 ნიშნულზე „7-9" მონაკვეთში საოფისე ფართის ნაწილის დათვალიერება და დათვალიერების შედეგად დარღვევა არ გამოვლინდა. რაც შეეხება „საპროექტო გეგმებში სასაწყობე სივრცეში მითითებული კვამლის დეტექტორები არ შეესაბამება სახანძრო საინჟინრო ნახაზების გეგმებში წარმოდგენილს. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ცხრილებში სასაწყობე ჯგუფში მითითებულია ხელოვნური განიავება, თუმცა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ტექსტურ ნაწილში, აგრეთვე სახანძრო საინჟინრო ნახაზებში არ არის წარმოდგენილი რაიმე მასალა სასაწყობე სივრცის ხელოვნური განიავების სისტემით აღჭურვის შესახებ." – შესრულებულია საინჟინრო ნახაზების შესაბამისად.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 125-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და

დავადგინე:

1. შეწყდეს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შ.პ.ს. „მონტაჟ ჯორჯია"-ს მიმართ;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მ. ჯაყელი